გაითვალისწინეთ, აღნიშნული ტესტი არის მხოლოდ ფინალური ტურის ნიმუში. ფინალურ ტურში დაგხვდებათ 12 საკითხი. გისურვებთ გამარჯვებას!

მე-5 კლასი

1. **(4 ქულა)** 4 ცალი ფარგალი და 3 ცალი რვეული ღირს 54 ლარი, ხოლო 2 ცალი ფარგალი და 2 ცალი რვეული 34 ლარი. რა ღირს 8 ცალი ფარგალი და 7 ცალი რვეული?
ა. 88 ლარი ბ. 96 ლარი გ. 122 ლარი დ. 144 ლარი

შეკითხვებს უპასუხეთ მოცემული დიაგრამის მიხედვით, რომელზეც ნაჩვენებია საერთაშორისო კომპანიის მიერ მოწოდებული 2021 წლის ამინდის ზუსტი სტატისტიკა კინგსლანდიაში თვეების მიხედვით დაწყებული იანვრიდან (jan). <u>მნიშვნელოვანი:</u> ზედა მრუდზე აღნიშნულია დაფიქსირებული მაქსიმალური ტემპერატურა, ხოლო ქვედაზე - მინიმალური.



2. **(6 ქულა)** ჩამოთვლილთაგან რომელი არ ყოფილა არც ერთი თვის მინიმალური ტემპერატურა?
ა. -10° ბ. 0° გ. 10° დ. 20°
3. **(10 ქულა)** რამდენი თვეა ისეთი, რომელშიც მინიმალური ტემპერატურა არ აღემატება 10°-ს?
ა. 0 ბ. 3 გ. 7 დ. 9
4. **(7 ქულა)** ქვემოთ მოცემული რიცხვებიდან რომელი იყოფა 5-ზე ნაშთის გარეშე?
ა. 5555551 ბ. 4545454 გ. 1000010 დ. 123123123
5. **(7 ქულა)** რომელი მეტია?
A. 1-დან 100-მდე რიცხვებში ციფრი “4”-ის რაოდენობა
B. 1-დან 100-მდე რიცხვებში ციფრი “5”-ის რაოდენობა
ა. A ბ. B გ. თანაბარია დ. ვერ დავადგენთ
6. **(8 ქულა)** რომელი მეტია?
A. ბიჭების რაოდენობა 28 მოსწავლიან კლასში, რომელშიც გოგონების რაოდენობა კლასის ნახევარზე მეტია
B. 13
ა. A ბ. B გ. თანაბარია დ. ვერ დავადგენთ